

შიომღვიმის მონასტრის ტიპიკონის ისტორიისათვის

**მოკლე შინაარხი**

შიომღვიმის მამათა მონასტრის ტიპიკონი XII საუკუნის და-საწყისისა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და საყურადღებო დოკუმენტია. ეს არის პალესტინის საბა განწმენდილის ტიპიკონის სვიმეონწმიდური (ანტიოქია, შავი მთა) რედაქცია, რო-მელიც დიდმა ქართველმა მოღვაწემ არსენ იყალთოელმა თარ-გმნა და მისივე ინიციატივით დავით აღმაშენებელმა სახელ-მძღვანელოდ დააწესა მის მიერ ახლად აშენებულ დვოისმ-შობლის მიძინების სახელობის კლესიაში.

შიომღვიმის ტიპიკონი მთელ საქართველოში გავრცელდა, მაგრამ მთლიანად ვერ განდევნა მანამდე არსებული გიორგი მთაწმიდლის „დიდი სკნაქსარი“ (XIV-XV საუკუნეები, კიდევ გამოიყენებოდა), რისი კვალი განსახილველ ტექსტში იძებნება.

შიომღვიმის ტიპიკონის დედანი არ შემორჩენილა. დღემდე მოღწეულია 18 ხელნაწერი – უძველესი, ე.წ. „შიომღვიმის ტი-პიკონი“ XII ს.-ის შუასანებისაა – და უამრავი ფრაგმენტი.

**საკვანძო სიტყვები:** შიომღვიმე, ტიპიკონი, საგალობელი, კვირიაქე, მწუხარი, ცისკარი, მარხვა, ზატიკი.

*Salome Zviadadze*

**FOR THE HISTORY OF THE CAVE OF SHIOMGVIME'S  
MONASTERY TYPICON**

***Abstract***

Brief Overview. The book of the Shiomgvime monastery typicon belongs to the beginning of XII century and it is the most important and valuable document. It is version of Saba Gantsmendili's books of typicon from Palestine (Black Mount) which was translated by Arsen Ikaltoeli and was published and used as a guide book by David the Builder in new monastery named after Saint Maria.

This typicon by Shio Mgvime was spread all over Georgia but this book was not able to abolish already used one by Giorgi Mtatsmindeli (which was used until XIV-XV centuries) and the ruins of this book still remains in the book we discuss.

The original version of Shio Mgvime's of monastery typicon was not kept. We have 18 hand writing and the oldest one so called "Shio Mgvime's typicon from XII century and we still have some fragments.

**Key Words:** Shiomgvine, typicon, hymn, Sunday, night, morning, fasting, zatiki.

**შიზანი:** რამდენად შემორჩა აღრინდელი წეს-განგების კვალი შიომღვიმელ მამათა მღვდელმსახურებაში. როგორ სრულდებოდა დიდი საუფლო დღესასწაულები, რას ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება სულიერ და ყოვით ცხოვრებაში. კვლევის მიზანია საბაჭმიდურ ტიპიკონზე დართული მინაწერების შესწავლა და მათი ურთიერთმიმართების დადგენა.

**მეოთხი:** შესაბამისად, ნაშრომში გამოყენებულია, ძირითადად, ისტორიულ-შედარებითი და ანალიტიკური კვლევის მეოთხები, რაც საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ ჩანართები ძირითადი ტექსტიდან და დავძებნოთ მათი ფესვები.

**შესავალი:** შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსი VI საუკუნეში დააარსა იოანე ზედაზნელთან ერთად ქართლში ქრისტიანობის განსამტკიცებლად მოსულ ათცამეტ მამათაგან ერთერთმა, შიომ. იგი თავდაპირებელად მარტო დამკვიდრდა მცხეთის დასავლეთით მდებარე უწყლო, კლდოვან ხეობაში. 60 დღე უზმომ გარდავლო, დაუცადებლად ლოცულობდა, იგერიებდა ადამიანის დაუძინებელი მტრის, ეშმაკთა შემოტევებს. მისი დვაწლი, ლოცვა და ჭირთა თმება ზეცას მისწვდა, გამოეცხადა დედა დვოთისა იოანე ნათლისმცემელსა და ანგელოზებთან ერთად, დაუნიშნა ზეციური საკვები და უთხრა, რომ ამ უდაბნოში დმერთშემოსილი ადამიანები გამრავლდებოდნენ. ასეც მოხდა: მმობა სწრაფად იზრდებოდა. შიო განსწავლიდა მათ, მაგრამ ბოლოს შეუძნდა კაცობრივი საზრუნავი, გამოითხოვა კურთხევა მამა იოანესა და ქართლის კათალიკოსისგან, მონასტრის წინამდღვრად დანიშნა თავისი პირველი მოწაფე, ევაგრე, გამოემშვიდობა მქებს, დაუტოვა 160 მშვენიერი სწავლა და ჩავიდა დრმა მდვიმეში, სადაც მოგვიანებით განისვენა ქიდეც.

შიომლებიმის მამათა მონასტერი საქმაოდ წარმატებული და გამოჩინებული იყო. მისი იურიდიული სტატუსი განხსაკუთრებით ამაღლდა მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა ქავნის გაერთიანების საქმეში მემდვიმე მამათა დამსახურებისათვის მონასტერი სამეფო საკუთრებად აქცია, ააშენა დვითისმშობლის მიძინების დიდი ტაძარი, დაუწერა ანდერძი, განუსაზღვრა ტიპიკონი, შესწირა დიდი ქონება და მატულები.

შეუკე დავითმა, არსენ იყალთოელისა და კათალიკოს იოანეს რჩევით, მონასტერს დაუწესა სვიმეონწმიდის მონასტერში, შავ მთაზე შემუშავებული რედაქცია წმიდა საბა განწმენდილის ლავრის წეს-განგებისა. ეს ტიპიკონი შემდეგ მთელ საქართველოში გავრცელდა და გიორგი მთაწმიდლის დიდი სვინაქსარის პარალელურად გამოიყენებოდა.

**მსჯელობა:** წმ. შიო VI საუკუნეში „პრძანებითა დუთისათა და წინამდრობითა სულისა წმიდისათა... ქუეყანით შუამდინარით ქუეყანად ქართლად მოივლინა“ (საბინინი, 1882: 193) იოანე ზედაზნელსა და მის ოორმებ მოწაფესთან ერთად განსამტკიცებლად ქრისტიანობისა. ასურეთიდან მოსული ბერები ჯერ მცხეთაში ცხოვრობდნენ, შემდეგ ზედაზნის მთაზე დამკვიდრდნენ ევლავიოს კათოლიკოსის კურთხევით, იქიდან კი საქართველოს სხვადასხვა კუთხეს მიაშურეს, ვის სად მიუძღვებოდა კაცომლყვარე დმერთი. ნეტარმა შიომ მცხეთის მახლობლად „პოვა ჩრდილოთ კერძო მდინარისა მას დიდსა, რომელ არს მტკუარი, ქუაბი ყოვლად მცირე, რომელი კმა-კეოფოდა მფარუცელად სხეულსა მას მისსა, ამას შინა დაგებიდრა მარტობით“ (ძეგლები, 1971: 127). მისი დაუცადებელი ლოცვა, მღვიძარება, სამოცი დღე ყოვლად მიუღებლობა საზრდელისა და სასუმელისა... „ღუაწლნი მისნი, რომელი მოიწეოდეს მის ზედა განხსაცდელნი ეშმაკისანი“ (ძეგლები, 1971: 129), ცად აღიწია. მას გამოცხადა ყოვლადწმიდა დვითისმშობელი იოანე ნათლისმცემელსა და ანგელოზებთან ერთად, კვერთხის შეხებით გააძლიერა, „მისცა ხელთა შინა მისთა მსგავსი თოვლისა მცირედი...“ (ძეგლები, 1971: გვ) უთხრა, რომ ამიერიდან ჭამადი ზეციდან მიეცემოდა: „ნუდარა გეშინის პრძოლათაგან ეშმაკისათა, რამეთუ გაქუს მდიდრად მადლი ღმრთისა და იქმნეს უდაბნო ესე აღსავსე კაცთა მიერ ღმერთშემოსილთა, რომელი მობაძავ იყვნენ ცხოვრებასა შენსა და მაქებელ შენდა ეგოს იგი უკუნისამდე“ (ძეგლები, 1971: 129). მართლაც, წმ.

შიოს გამოუჩნდენ მიმდევრები და როცა ის მდგიმეში ჩავიდა, აქ უკვე 2 500 კაცამდე მოსაგრეობდა, აშენდა ეკლესიებიც.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია: „იმთავითებე მაღალი იყო მონასტრის იურიდიული სტატუსი. VI-XII ს-ის დასაწყისამდე იგი ქართლის კათალიკოსის მფარველობაში იმყოფებოდა. 1124 წლისათვის დავით ადმაშენებელმა საკუთრებად აქცია, გამოიყვანა ყოველგვარი იურიდიული დაქვემდებარებიდან და მზრუნველად სახელმწიფოს ადმინისტრაციული მმართველობის უმაღლესი პირი – მწიგნობართუეუცესი მიუწინა. მონასტრერმა მიიღო საეპარქიო და და სახელმწიფო გადასახადების შეუვალობის პრივილეგიები“ (ვ. სილოგავა, 2003: 10). სწორედ ამ დროს აშენდა შიომღვიმის მთავარი, დვითიშვილის მიძინების სახელობის ტაძარი და დაიწერა დავით ადმაშენებლის ანდერმი შიომღვიმის მონასტრისადმი, „უმნიშვნელოვანების იურიდიული დოკუმენტი“, რომელშიც აღნიშნულია: „მიბრძანა სასომან ჩემმან ბერმან არსენი და თვით სულიერმა ბერმან მოძღვარმან ჩემმან იოვანე, რაოთამცა წესსა ზედა სკიმეონ-წმიდისსა დავსხენ მონასტრისა მდგიმისა წესი, რომელი თვით მათ მიერ აღწერილი ვიხილე ყოვლად შუენიერად: უცომელი გზად, და წესიერი ცხორებად, და ანგელოზებრი მოქალაქებად, რაოთა დმრთისათვის ოდენ განკუთვნილინი, მას მხოლოსა, თვინიერ საწუთოთავისა ზრუნვისა პზრახვიდნენ და წინაშე დმრთისა მეოხებად კადნიერ იყვნენ“ (ვ. სილოგავა, 2003, გვ. 120, სტრ. 36-41).

საბაწმიდური ტიპიკონი შიომღვიმიდან გავრცელდა მთელ საქართველოში. მანამ გიორგი მთაწმიდლის ნათარგმნი „დიდი სკნაქსარი“, ვ.ი. მთლიანი, სრული რედაქცია აია სოფიის ტიპიკონისა, რომელშიც შეტანილია ელემენტები სტოდიელთა სავანისა და ათონის მონასტერთა ლიტერგიკული პრაქტიკისა... ერთადერთი იყო, რომელიც განაგებდა ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკას მეთორმეტე საუკუნეებდე, თუმცა საბოლოოდ განდევნილ იქნა ხმარებიდან მხოლოდ XIV-XV საუკუნეებში“ (პ. კეკელიძე, 1980: 575-6). აქვე აღვნიშნავთ, რომ ახალი ტექსტის გამომცემლებს (ე. კოჭლაძაზიშვილი, ე. გოუნაშვილი) მიაჩნიათ, რომ გიორგი მთაწმიდლის ტექსტი XVIII ს-შიც მოქმედებდა.

ჩვენამდე სრული სახით საბაწმიდური ტიპიკონის 18 ხელნაწერია მოღწეული, არის ფრაგმენტებიც. ტიპიკონის ტექსტი, ევალაზე უკეთ შემონახული 1349, ე.წ. შიომღვიმის ხელნაწერი

რის (1247-69 წწ.) ტექსტზე თითოეული ამ ხელნაწერის ვარიანტების დართვით, გამოსცეს ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა და ელგუჯა გიუნაშვილმა (შიომღვიმის მონასტრის გამოცემა; თბილისი, 2005. ტიპიკონს ყველგან ვიმოწმებთ ამ გამოცემიდან):

ტიპიკონი საეკლესიოსა წესისად კეთილგანგებულისა წმიდისა და დმერთშემოსილისა მამისა წუენისა საბას ლაგრისად, რომელი-ეს ესრეთვე იქმნების სხუათაცა ყოველთა მონასტერთა შინა პალესტინისათა

მასში შედის: განგებად დამისთევვისად (13-18); განსაზღვრებად დამისთევვათა ყოვლისა წელიწდისათად (18); მოთხრობად შემოკლებული საეკლესიოსა განწესებისად მონასტერთა იერუსალიმისათად (19-26); სკინაქსარი ათორმეტთა თუეთა წელიწდისათად, რომელი დაიწყების სეკდენბერით თუთ ვიდრე და დასასრულამდე აგჰისტორისა (27-98); განგებად წმიდათა და დიდთა მარხვათად, ვნების კვირისა და ზატიკის განგების ჩათვლით (97-135); განგებად შაბათთა ყოვლისა წელიწდისათად, რომელთა შინა იყოს საწსენებელი საჩინოსა წმიდისად და იგალობებოდის ღმერთი უფალი (136-138); თანამდები ღმრთისა მიმართ წლითო-წლადი მადლობად, რომელსა დღესა მიიღო ეკლესიამან ღმრთისამან გამოსაჩინებელი კეთილმსახურებისა შჯულთად და დაქცევად სიბოროგისა ბოროტადმსახურებათად (139-144); გამოავლინენი თუეთანი სრულიად (145-154); გამოავლინენი ათერთმეტთა აღდგომისა საცისკროთა სახარებათანი (154-156); გამოავლინენი ყოველთა წმიდათანი, ვისთვისცა გინდენ (156-157); გამოავლინენი მარხვათანი (158-161); კონდაკნი და ჟორსნი (162-176); დამისთევვასა შემდგომად ნეტარ-არიანთასა, გმად და გუერდი (176); კუერექსი სავედრებელი (177); ყველიერისა ხუთშაბათსა წსენებად საკვრველმოქმედისა წმიდისა მამისა შიომისი (179-180); იანვარსა 17 (იღ) წმიდისა მოციქულისა ნინოისი (181-188); საგალობელნი დირსისა მამისა შიომისი (189-191); დიდებასა ზედა უფალო დადატყავსა და სტიქარონთა ზედა, ვიეთოჟსცა გივმდეს მამათათუს (192); საჭმელთათუს და სასუმელთა და ვითარებისა და რაოდენობისა და სატრაპეზოსა წესიერებისა (193-197); ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომდგიმისათვის (198-201). ერთვის ლექსიკონი და დირსი მამა შიო მდვიმელის ცხოვრების ყველა რედაქცია, თხრობა სასწაულთათუს წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიომისთა და განგება დირსისა მამისა შიომისი.

„გიორგი მთაწმიდლის დიდი სკნაქსარის“ „გამოავლინეთა“ კომპლექტის შედარებაშ შიომღვიმის ტიპიკონის ტექსტთან გვიჩვენა, რომ შიომღვიმის ტიპიკონის შემდგენელი სარგებლობს გიორგი მთაწმიდლის „გამოავლინეთა“ ფონდით. ტექსტები გვიჩვენებენ სრულ იდენტურობას, თუმცა რამდენიმე საინტერესო განსხვავება გამოვლინდა“ (მ. დოლაქიძე, დ. ჩიტუნაშვილი, 2017: 020), რაზეც აქ ყურადღებას აღარ შევაჩერებთ.

ტიპიკონის პირველი ტექსტი არის „განგებად დამისოფევისაა“. დასაწყისშივე გამოიკვეთება განსხვავება დედნის ტექსტთან მიმართებით – საბაწმიდური ტიპიკონით დამისოფევის ზარი მზის ჩასვლის შემდეგ უნდა დაირეკოს, აშიაზე მინაწერი კი გვეუბნება: „ხოლო ჩუენ – არა ესრეთ, არამედ თვისა უამსა ვპრეკო და სრულ-ვპყოფო სამწუხაროსა დიდებისმეტყველებასა და შემდგომად სრულიადისა შედამებისა კუალად ვპრეკო და-მისოფევისასა...“ (13). განსხვავებაა მდვრდლისა და დიაკონის შემოსვისა და გამოსვლის წესშიც. „თვისა უამსა ვპრეკო...“ – „თვისისი ჟმინ“ რომელია, სამწუხაროდ, კერ დაგადგინეთ. საგარაუდოდ, მწუხრის ლოცვის შემდეგ, რასაც, ალბათ, დამისოფევა მოებმებოდა.

„თვისითა წესითა“ შეუდგენებ სტიქარონს ძირითად ტექსტში აღნიშნული ლოცვების გარდა – ამასაც აშიაზე შემდეგი მინაწერი გვატყობინებს (15). „თვისი წესი“ – საბაწმიდური ტიპიკონის შემოღებამდე არსებული, გიორგი მთაწმიდლის დიდი სვინაქსარით დაკანონებული უნდა იყოს.

აქვეა მესამე მინაწერიც: ლიტანიის საგალობლის ნაცვლად შიომღვიმის მამები ამბობენ „ოჭითასა ... აღდგომისასა, რომელიცა კმა იყოს მხევასისასა“(16).

მნიშვნელოვანია ცალკე გამოყოფილი ტექსტი, „საკმარას ცნობად“ – აღნიშნულია დვთისმსახურების კერძო შემთხვევები, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და ეს ასეა მთელ ტიპიკონში. ამავე რიგისაა: „ჯერ არს უწყებად“, „სათანადო არს უწყებად“, „შესწავებად საკმარ არს“, „სათანდო არს ცებნად მმათაგან“, „საკმარ არს ცნობად“... ეს რემარკები მომდინარეობენ საბაწმიდური დედნიდან თუ ქართული საღვთისმსახურო პრაქტიკის გათვალისწინებითაა შეტანილი ტექსტში თარგმნისას, უცნობია.

ასეთი შენიშვნები სხვა ქართულ და ბერძნულ სვინაქსარებშიც დასტურდება.

განსაზღვრებად დამისთევათა ყოვლისა წელიწდისათავ.და-  
ვით აღმაშენებლის ანდერძიდან ჩანს, რომ შიომღვიმის დაფ-  
რაში ყოველ კვირიაკეს დამისთევა დაუწესებია არსებ იყალ-  
თოებს: „ვითა აწ არსების გაუწესებია ყოველთა პარიაკეთა  
დამე ყოველ დამისთევად, ნუვინ შეცვლის ამა წესსა“ (ვ. სი-  
ლოგავა, 2003: 132, სტრ. 103-4). მართლაც, ყოველი კვირის და-  
მისთევით შეხვედრის წესი უცვლელად დარჩა, შევიდა მონა-  
სტრის ახალ ტიპიკონში და დაემატა 17 საუფლო დღესასწაუ-  
ლის დამისთევაც, სულ – 69.

საინტერესოა „მოთხოვობად შემოკლებული საეკლესიოსა  
განწესებისად მონასტერთა იერუსალიმისათავ“ (19-26). დასა-  
წყისშევე ყურადღება გამახვილებულია იმაზე, ვითარ ჯერ-არს  
ფსალმუნთა გალობა მოელი წლისათვის. აქვეა მინაწერი აშია-  
ზე, რომელიც სხის განსხვავებას. ხაზგასმულია ძალიან ბევ-  
რი საყურადღებო დეტალი. ადსანიშნავია, რომ ფსალმუნთა  
კითხვას და საერთოდ ღმრთისმსახურებას ეკლესიაში ხელ-  
მძღვანელობს ეკლესიარქი; „იტყვას ეკლესიარქი ექვსფსალმუნ-  
თა წყნარითა ჭმითა ნელიად, სასმენელად ყოველთა“ (20),  
„შემდგომად ამენისა მექსეულად იწყებს ეკლესიარქი: დიდება  
მაღალთა შინა ღმერთსა...“ (20). „ცნობად საჭმარ არს, ვითარ-  
მედ მონაზონსა, რომელსა ეკლესიარქისა მიერ ეწვოს თქმად  
ფსალმუნისად....“ (21) „...სხუასა აწუევს ეკლესიარხი და იგი  
იტყვას“ (22). მემკრეთა გალობის დროს (და საერთოდ, ლიტურ-  
გიაზე) წესრიგის დაცვას დიდი ყურადღება ექცეოდა – „ეკლე-  
სიარხსა უკმის ამის ყოვლისათვს ზრუნვად“ (23). ეკლესიარქი  
ხელმძღვანელობდა მარჯვენა მხარის მგალობლებს: „საჭმარ  
არს ცნობად, ვითარმედ ეკლესიასა შინა მარჯუენესა ვიდრე  
ხორისა აწუევს და პმართვებს ეკლესიარხი, ხოლო მარცხე-  
ნესა – სხუად ვინგე, მისთვის განჩინებული“ (25). ეკლესიარქი,  
ღმრთისმსახურებისა და ტიპიკონის კარგი მცოდნე, ღრმად გა-  
ნათლებული, ძმათაგან პატივცემული და დაფასებული უნდა  
ყოფილიყო. იგი ითვლებოდა მონასტრის ხელმძღვანელად წი-  
ნამძღვარსა და იკონომოსთან ერთად.

ამ თავში არის საინტერესო ყოფითი მომენტებიც: როცა  
ეკლესიარქი ექვსფსალმუნს ამბობს, „წყნარითა ჭმითა ნელიად  
სასმენელად ყოველთა, მდგომარეობასა შინა სხუათასა, ხოლო  
ძმათაგანსა არავის უკმის აღმოტეველებად ანუ წანერწყვად, ვიდ-  
რე დასრულებამდე ექვსფსალმუნთაისა“ (20).

შეცხრე ჟამის გამოლოცვის შემდეგ მცირე ხნით გამოისუენებდნენ „სენაკთა თ სთა“, შემდეგ ირკებოდა ზარი, ეკლესიაში იკრიბებოდნენ, ხოლო „შემდგომად ცისკრისა გამოლოცვისა წარვალო კელინთა ჩუენთა“ (25). იქ ამბობდნენ დაწესებულ ლოცვებს და „რაიცა რაიმე გუაქუნდენ წესად, პირიელცხონსა და სრულ-გჲყოფთ ლოცვასა.“

და რომელთა ენებოს ცხოვების, კელინთა თჯსსთაგან არა გამოვლენ ვიდრე ჟამადმდე სარეკლისა და ეკლესიას შეკრუბისა, არამედ რომელიმე შექცეულ არიან ჭელთსაქმარსა, რომელნიმე წიგნის კითხვასა, რომელნიმე ლოცვასა, მეცნიერებითა წინამდებულობისათა, ხოლო მსახურად განჩინებულნი – მსახურებათა თ სთა“ (25). მსახურება – აქ, სავარაუდოდ, სატრაპეზოში, სახაბაზოში და სხვა ამგვარი მორჩილება უნდა იგულისხმებოდეს.

აქედან შეიძლება დაგასკვნათ ისიც, რომ შიომღვიმეში, ისევე, როგორც ყველა სხვა ქართულ მართლმადიდებლურ მონასტერში, დიდი ყურადღება ექცეოდა მმათა ყოფის წესს და ყოველი წუთი მკაცრად განაწილებული და სასარგებლო საქმით დაკავებული უნდა ყოფილიყო.

აქვე ხაზგასმითაა ადნიშნული – „ჯერ-არს უწყებად“ – სერობის ლოცვაზე „დვოთისმშობლისა გალობათა“ შემდეგ „კანდელავტი მისცემს მმათა წყალსა მიწყალესა ზედა და შემდგომად გამოლოცვისა არღარა უკმს მმათა ურთიერთას უბნობად, არამედ წარსკლად სენაკთა თჯსთა, რაითა მოსწრაფედ რდგებოდინ შუაღამისა ლოცვასა.“

ხოლო მოეცა ესეც წმიდათა მამათაგან, რაითა არავის აქუნდეს ფლობად ტრაპეზსა ზედა ჭუელისა ანუ წანერწყვისად ანუ უბნობისა, თჯნიერ ჭირისა რაისმე“ (26). შიომღვიმის ტიპი კონში მცირეა დისციპლინური ნაწილი, ჩვენამდე მოღწეული სხვა ტიპიკონებისგან განსხვავებით, ამიტომ სადვოთისმსახურო ტექსტში ჩართული ყოველი ასეთი მინიშნება მეტად ფასეული და მნიშვნელოვანია იმის გასაგებად, როგორ ცხოვრობდნენ მემღვიმე მამები.

განსხვავებული იკითხვისებით, აშიაზე მინაწერთა სიმრავლითა და ტექსტში ყურადღებამისაქცევი ადგილების გამოყოფით გამოირჩევა „სკნაქსარი თორმეტთა თუეთა წელიწდისათად, რომელი დაიწყების სეკდენბერით თუთ ვიდრე და დასასრულამდე აგჲსტოსისა“ (გვ. 27-98).

სათვეო ნაწილი უძრავ კალენდარს ეფუძნება. ყოველი თვის დასახელების შემდეგ მითითებულია, რამდენი დღე აქვს, რამდენი საათია (ჟამი) დღე და რამდენი – დამე. თითოეული დღე შეიცავს რამდენიმე წმინდანის ხელისხმებას. ამას მოსდევს მწუხრი, ცისკარი, სამხარი – ასე მოიხსენიება შიომდვიმის ტიპიონები – უამები. განსხვავება ყველაზე ხშირად არის საგალობელთა თქმის წესში: შიომდვიმი „„აკურთხევსის“ შემდეგ „მეყსეულად ვიტყვათ უფალო დაღატყავსა“ (27, 30, 33, 38, 41 (ორჯერ), 43, 44, 45, 48, 51, 52, 55, 61, 70, 72, 83, 85, 88, 89, 93, 96, 97). 20 სექტემბერს ტიპიკონით იგალობება: „აწდა, ღმრთისმშობლისად“, აშიაზე მინაწერი კი გვეუბნება: „ხოლო ჩუენ – კეთილ-არსო [კეთილ-არსნი შ]“ (გვ. 50, 78).

რით ხელმძღვანელობდნენ შიომდვიმის ბერები საბაწმიდური ტიპიკონის შემოტანამდე, შეიძლება მიგვანიშნოს 8 სექტემბრის, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ტიპიკონმა. „სამხრად – ფსალმუნი ნაცვალად მომიხსენენისა დასდებელთა - გმისა განძლიერდასა და (ბ) და დაღატყავისა დასდებელნი თქუნან“ (გვ. 31). აშიაზე მინაწერი კი გვამცნობს: „ხოლო ჩუენ მიერ ესე შეისწავე, ვითარმედ სადაცა და ოომელსაცა დღესასწაულსა მომიგსენესა ზედა მესამესა და მეექუსესა გალობისა დასდებელთა მოსცემდეს ტყპიკონი, ჩუენ მას დღესა კეთილ-არსო ვიტყვათ თვისითა წესითა, ვითარცა მოსცემს განგებად მთაწმიდელთა სჭაქსარისაა, და ესე ესრეთ უწყოდე სრულსა წელიწადსა შინა და წმიდათა მარხვათა და ზატიკთა“.

საფიქრებელია, რომ შიომდვიმის მონასტრის მები, საბაწმიდურ ტიპიკონთან ერთად, გიორგი მთაწმიდლის დიდ სჯნაჭსარსაც იყენებდნენ. ვერ ვიტყვით, რომ ყველა შენიშვნა, რაც საბაწმიდურ ტიპიკონს ახლავს, მხოლოდ სჯნაჭსარულია, მაგრამ უმეტესობა, როგორც ვნახეთ, – „უწყოდე სრულსა წელიწადსა შინა და წმიდათა მარხვათა და ზატიკთა“ – აქედან უნდა იყოს.

ყველა განსხვავების ცალკე განხილვა აქ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, არადა, ბევრი საინტერესო რამ ჩნდება. თუნდაც, შედარება თვენის კალენდარულ მონაცემებსა და თანამედროვე კალენდარს შორის.

მნიშვნელოვანია აგრეთვე დიდი დღესასწაულების ტიპიკონები – შობა, ხარება, ნათლისძება. მათ განსაკუთრებულად აღნიშნავდნენ. 14 იანვარს ტიპიკონის ზოგიერთ ხელნაწერში

(მაგ.: სინური (სინ. 83, XII-XII ს.) წმიდა ნინოს ხესნება და განგება შეტანილი არ არის (გვ. 67). დიდი ყურადღება ეთმობა 25 მარტის განგებას – „ხარება უფრომსად წმიდისა დმრთის-მშობელისად“. მოცემულია მრავალი ვარიანტი, იმის მიხედვით, რომელ დღეს ემთხვევა ხარება – შაბათს, კვირიაკეს, ლაზარეს შაბათს, „პატრიაქესა ბაიობისასა“, „დიდსა ორშაბათსა“, „დიდსა სამშაბათსა“, „დიდსა ოთხშაბათსა“, „დიდსა ხუთშაბათსა“, „დიდსა პარასკევსა“, „დიდსა შაბათსა“, „დიდსა კპრიაკეს აღვებისასა“ ანუ „აღვესების ორშაბათსა“. „დღესასწაულისათვის ხარებისა საჭმარ არს ცნობად, ვითარმევდ არა ოჯნიერ მიზეზისა მოგვენებულ არს ჩუენ მიერ, თუ ვითარ ჯერ-არს განგებასა ხარებისასა გარდავდა წმიდათა შინა მარხვათა და დღეთა დიდისა შვეულისათა, და რამეთუ წესთა დიდისა ეკლესიისათა შედგომილთა და უცოომელისა სკნაქსარისა მარა-დის კსენებულისა ვიტყვ სტუდიელთა მონასტრისასა, და არა ხოლო მისთა, არამედ იერუსალემისაცა მონასტერთასა განვა-წესნით ესენი, რომელთათვეს ნუმცა ვის დაუყარდების, თუ ვითარ შეცვალებულად დაგბწერიან აქა შინა წესნი ხარებისა დასდებელთა, გალობათა და საკითხავთანი. არამედ განიცადენ დღე, რომელსა დაემთხუეოდის იგი; ამისსა შემდგომად რაბა-მობად დღესასწაულისა მის დღისად განიცადებ“ (გვ. 82).

მდგრძელები დიდი ეკლესიის, აგრეთვე მხოლოდ სტუ-დიელთა მონასტრის (კონსტანტინოპოლი) კი არა, იერუსალე-მის მონასტრის განგებასაც ითვალისწინებდნენ, და არ უნდა გაგიკირდეთო, გვმოძღვრავენ, წარმოიდგინეთ – განიცადეთ, რომელ დღეს დაემთხვევა, შემდეგ კი თვით ამ დღის მნიშვნე-ლობას დაუკვირდითო. ქართული ტრადიციით „დიდ ეკლე-სიად“ კონსტანტინოპოლის აია სოფია მოიხსენიება, როგორც მაგ.: გიორგი მთაწმიდლის დიდ სვინაქსარში (მ. დოლაქიძე, დ. ჩიტუნაშვილი, 2017: 012). ასეა, სავარაუდოდ, შიომღვიმის ტიპი-კონშიც.

აქვეა აღნიშნული, რომ დიდი ეკლესიის, აია სოფიის სკნაქ-სარში ისიც ვიპოვეთო, რომ „ეგუტერთა შინა წმიდისა დმრ-თისმშობელისათა იქმნების დაგებად და სრული ჟამისწირვა“, ხოლო თუ არ იქნებოდა ეკლესიაში ეკვდერი, საღმრთო შესა-წირავის მომზადება, პროსკომიდია და სრული ჟამისწირვა ამ დღეს არ ტარდებოდა, არც მარხვის სხვა დღეს, დიდი ხუთშა-ბათის გარდა, არამედ „განგებად განახლებისად აღესრულების“ (82).

ჩანს, იმ დროისთვის ქართველი ბერები კარგად იყვნენ გარკვეული სხვა ქვეყნების (საბერძნეთი, პალესტინა) და მასახურების პრაქტიკაში და ფართო ლიტურგიკულ ლიტერატურაზე მიუწვდებოდათ ხელი. რაც შეეხება და მასახურების ეკვდერში ქამისწირვას, ხარება იმდენად დიდი დღესასწაული იყო, სხვა მნიშვნელოვან დღეს თუ დაემთხვეოდა, მისი და მასახურება ცალკე უნდა ჩატარებულიყო.

**განვებად წმიდათა და დიდთა მარხვათად (99-116).** წმიდა და დიდი მარხვა – წმ. ორმეოცი – წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენის – აღდგომის შესახვედრად მზადების პერიოდია, ეფუძნება მოძრავ კალენდარს. მასში შედის მარხვისა და ზატიკის – აღდგომიდან სულიწმიდის მოფენამდე – პერიოდების და მასახურების წესი. ეს დრო შვიდეულებად იყოფა. იწყება დიდი მარხვის მოსამზადებელი კვირიაკებით: შეზურისა და ფარისევლისა და უძღები შვილისა; მოსდევს მსახურება პარასკევას მწუხრი, შაბათსა აღება - კრებისასა, შაბათსა ყველითა აღებისასა, კვირიკესას ყველითა აღებისასა; შემდეგ ეძვის შვიდეული, ვნების კვირა, აღვსება, ანუ აღდგომა და ზატიკი, სათაურად კი მხოლოდ მარხვაა გატანილი. მარხვის გიპიკონში ბევრად მცირეა რემარკები და განსხვავებული იკითხვისები – ძირითადად ნაკლებია ვარიანტების შესაძლებლობა, აქ განსაზღვრულია მუხლოდრევის წესი და ეფრემ ასურის ლოცვის მნიშვნელობა. ყველიერის შაბათ-კვირას სათუეო საგალობელთაგან როდის რა გადაიხადონ, ეკლესიარქი წყვეტს (101).

მარხვის განგებაში „შესწავებად საჭმარ არს, ვითარმედ ერთსა დღესა წმიდათა მარხვათასა ყოვლად გამოწულილვით და გამოძიებით და ზედმიწევნით განვაწესებთ, რაოთა იყოს იგი წეს და კანონ და საზღვარ სულიერ ქრისტეს მიერ, ღმრთისა ჩუქისა, ყოველთავე ნეშტოა დღეთა წმიდათა მარხვათასა“ და ნიმუშად აღებულია პირებელი კვირის ორშაბათი („ორშაბათსა ც (ა) შ დეულისა“, გვ. 103). სულ დაწვრილებითაა მოცემული განგებად ცისკრისა, როგორც სახელმძღვანელო მთელი მარხვისათვის – მდგდლის გამოსვლა, საგალობლები, კპრიელებისონი, ლოცვები, ასამაღლებლები, მუხლოდრეკა. „უწყებად ჯერ-არს, ვითარმედ ორშაბათთა წმიდათა მარხვათასა პირველსა ჟამსა ზედა კანონს არა ვიტყვო“ (104). მას მოჰყვება მესამე და მექქსე, მეცხრე ჟამის განგება (104-105),

„ქამი სამწუხერო“ (106-107), „განგებად სერობისაა“ (107-108), „დამისა ქამნი“ და „უფროისედა სერობისად დიდი“ (108).

დიდმარხვის პირველ კვირას ცისკარი იწყება გვიან: „ცისკრად გჟრეკ მიმუოკრებით-რე, წინადღითისა მისთვის ნუგეშინის-ცემისა მათათას“ (103). ეს ლიტურგიკული მოლენა „დიდ სკნაქსარშიც“ დასტურდება და სტუდიური ტიპიკონის თავისებურებად არის მიჩნეული (პ. დოლაქიძე, დ. ჩიტუნაშვილი, 2017: 016).

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დიდმარხვის პირველ ორშაბათს ნამწუხერევს, „შემდგომად სრულყოფისა განახლებისა შევალთ ტრაპეზად და ჭრამთ ხელად და გსუამთ ჩირის წყალსა ანუ თავლის წყალსა ანუ სხუასა რასმე ეგევითარესა.

ხოლო ხუთშაბათსა პირველისა მის შკდეულისასა ტრაპეზება არა განვადებთ ვიდრე პარასკევადმდე, არამედ მარხვით გარდავაჭლით. ხოლო პარასკევას ჭრამთ ზეთითა ზავებულსა და გსუამთ დაზნოსა, წმიდისათვეს და დიდისა ქრისტეს მოწამისა თეოდორესა“ (107) – თეოდორე ტირონისა, რომელიც დიდმარხვის პირველ შაბათს მოიხსენიება.

უნდა ვიცოდეთ, ასევე, რომ კათაკმეველთა კვერექსი და ლოცვა შუამარხვის ორშაბათიდან ითქმება. დიდი სერობის დასასრულს, კურთხევის შემდეგ, წინამდღვარი მუხლს მოუდრექს მმათა, ითხოვს კურთხევასა და შენდობას. ასევე იქცევა მარცხენა სამკრის უპირველესიც და ასე თითოეული. ამის შემდეგ ყველა ერთად მუხლს მოუყრის წინამდღვარს, მიიღებენ ლოცვას და წაგლენ თავ-თავიანთ სენაკებში. „ესე უკუე წესი განგებისაა სრულ-იქმნების ქოველთა დღეთა წმიდათა მარხვათასა სერობისად“, ამასთან ეკლესიარქი უკუადღებით უნდა იყოს („განკრძალვად უჭმს“), ისე წაიყვანოს მსახურება, რომ ჯერ კიდევ დღე იყოს, როცა სერობისას გამოილოცავენო („უწინარეს თუალის მოკიდებისა“. 109).

მარხვის ტიპიკონი საკმაოდ მკაცრი და დატვირთული იყო, დღე-დამეში ბერებს 300 მუხლდრეკა უნდა აესრულებინათ, აგრეთვე „ალესტინეს ფსალმუნებად დაკოთისაა სენაკთა შინათვითა, და შემძლებელი უკუე სრულ-პყოფენ მას დღესა და დამესა შინა, და რომელნიმე – სამგზის შკდეულსა შინა (V), ხოლო რომელნიმე ორგზის და მუხლოთმოდრეკასა ვჰყოფთ, ვთარცა თითოეულსა ძალისაებრ თვისისა განუწესოს წინა-

მდლუარმან. ხოლო შუგადამისად ვილოცავთ „ნეტარ-არიანთა“ (109).

„პალესტინის ფსალმუნება“ პირადი კანონის სენაკში შესრულებას გულისხმობს და ის საკმარი მკაცრი, მმობის თითოეული წევრისათვის ინდივიდუალურად განსაზღვრული და საგალდებულო უნდა ყოფილიყო; მომდინარეობდა საბაზმიდური – პალესტინის – ტრადიციიდან. ყველა ეს წესი – ლოცვისა, წიგნის კითხვისა და საეკლესიო განწესებისა „ეგრეთვე და მუჩლთა მოდრეკათათუს, წმიდათა მამათა მიერ განწესებულთა“ – უკლებდლივ ყველას უნდა შეესრულებინა, „ოვინიერ სამართალისა მიზეზისა, რომელ არს უძლეურებად ჭორცოდ“ (109).

პირველი შეიძეგულის პარასკევს წმიდა ზიარების შემდეგ წყალს მიირთმევდნენ („გირლუნით წყლითა“), ასევე ოთხშაბათს და მარხებაში ყოველთვის, პირველშეწირული წირვისას ზიარების დროს. შემდეგ იტყვიან წმიდა და დიდი მოწამე თეოდორეეს სამადლობელ გალობას, მიიღებენ სეფისკვერს („განიყოს განატეხი“. 110).

დიდმარხების პირველ შაბათს ორი მინაწერია აშიაზე: ცისკრად წმინდანის საგალოობლამდე „ჩუენ პირველად ყოვლადწმიდისა გალობასა ვიტყვთ. ...და ეგრეთდა – წმიდისა ორ-ორჯერ“ (110) და სამხრად, წმინდანის მესამე და მეექვსე საგალოობლამდე „ჩუენ კეთილ არსთა ვიტყვთ თუსითა წესითა“ (110). აქვე „უწყებად ჯერ-არს“, რომ „წმიდათა დიდთა მარხებათა“ თვეზი მხოლოდ ორჯერ – ხარებას და „კვირიაკესა ბაიობისას“ იქმება.

დიდმარხების პირველ კვირას დამისთევით ხვდებიან – მწუხარზე ფსალმუნებას არ უჩენს – ტექსტში რამდენიმე სხვა ადგილზეც არის მითითებები ფსალმუნური კანონის შესრულება-არშესრულების შესახებ – წარდგომები: „ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა... და „ეც მკაფიობაა“ კველიერის კვირიაკიდან მარხების ყოველ კვირას რიგ-რიგობით ითქმება და „ამისაცა შესწავებად საგმარ არს“. კვირის მწუხერი ისე ადესრულება მთელი მარხების განმავლობაში, „ვითარცა პირველ დაწერილ არს“ (110). მოყვანილია კვირის სამხარი, მწუხერი, აქვე შაბათის ცისკარი (111). ასეთივეა განგება მარხების ყოველი შაბათისა, თუ საჩინო დღესასწაული არ დაემთხვევა.

დიდმარხების მესამე კვირას საგანგებოდაა აღნიშნული ჯვრის თაყვანისცემის წესი - „უწყებაი ჯერ-არს“ (112) – ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს. მეხუთე შკდეულის ოთხ-

შაბათს დიდთა გალობათა დასდებლების ნაცვლად “ჩუენ თკსსა ჭმასა და უფალო დადატყავად დაგბსხმან” (მინაწერი აშიაზე, 113). ტრაპეზზე მიიღებდნენ ზეთით ზავებულ საკედებს და დვინოს, რაც თითქოს მოულოდნელია, მაგრამ „შრომისათვეს დამისთვევისა“ (113). მეხუთე შპდეულის ხუთშაბათს ცისკრად არაა ფსალმუნება – „ხოლო ჩუენ არ[ცა] მწუხრსა ვფსალმუნებო ამას დღესა“... (მინაწერი აშიაზე, 113). ხოლო თუ ამ დღეს ხარება დაემთხვა, სამშაბათს გადავიხდით დიდ გალობას, „ხოლო დღესასწაულსა – თკსსა დღესა წესისაებრ“ (113). ცისკრის ზარი მეოთხე ჟამზე ირკება, დღის საკითხავი გაყოფილია სამ კითხვად – „ხოლო ჩუენ ორად განგვყოფ“ (მინაწერი აშიაზე, 114). მესამე ნაწილად წაიკითხავდნენ ხარების რომელიმე საკითხავს, რაც უნდოდათ.

შეექსე შპდეულის პარასკევს ცისკრად და მწუხრად ჩვეულებრივი განგებაა, მხოლოდ მართალი ლაზარეს გერთა ნაცვლად „ჩუენ კეთილ-არსთა ვიტყვთ“ (მინაწერი აშიაზე, 114).

შაბათს წმიდისა და მართლისა ლაზარესსა ცისკარზე სახარება არ იკითხება, „თვინიერ ეკლესიისა წმიდისა ლაზარესსა“ (115). სამხრად – ჩვეულებრივი განგებაო.

**შაბათსა წმიდისა და მართლისა ლაზარესსა.** მწუხრი სახარებაზე მთხვევისას ძმებს წინამდვარი ბაიას (ბზას) დაურიგებს, მეცხრე გალობაზე კი – სანთკლს (115).

სამხარზე წასაკითხი ფსალმუნების ნაცვლად იკითხება 114-ე, 115-ე, 117-ე ფსალმუნები, სახარებაი იოვანესი და მოსდევს იოანე ოქროპირის ჟამისწირვა. წირვის შემდეგ ტრაპეზზე თვეზსაც მიირთმევდნენ (ფორმულირება საინტერესო და გულისამაჩუქებელია: „იქმნების ნუგეშინისცემად მმათა...“). „კვირიაკესა ბაიასათა მწუხრი უფალო დადატყავსა უქცევთ ექუსთა მუხლთა ზედა“; მაგრამ არის განსხვავებაც (მინაწერი აშიაზე): ჩვენც ექვს მუხლს ვუქცევთო, ოდონდ სამს დღისას და სამს დიდი ორშაბათისას, ომელიც გნებავთო... „ხოლო ტპკონი სტუდიელთად ექუსთა მუხლთა ზედა უქცევს [იგიცა], გარნა არარას[ს] იტყვს ბაიათასა, არამედ დიდისა ორშაბათისა სტიქარონთა“ (116). საგარაუდოდ, სტუდიელთა ტპკონში გორგი მთაწმიდლის „დიდი სკაქსარი“ უნდა ვიგულისხმოთ. დიდმარხვის განგებას ბუნებრივად მოსდევს განგებად ვნებათად.

**დიდ ორშაბათს.** ცისკარი. პირველ ჟამზე ფსალმუნი არ იკითხება, მესამე და მეექსე ჟამზე – კი; იგივე განგებაა დიდ სამშაბათსა და ოთხშაბათს. იკითხება სახარება. სათანადო

არს ცნობად, რომ მათებს, მარკოზის, ლუკას სახარებების წაკითხვა მთავრდება ორშაბათს. იოვანეს სახარება წაიკითხება მთლიანად დიდ ხუთშაბათს. სამივე თავი სრულებით წაიკითხება, ხოლო იოვანეს თავი – ანდერძამდე „ხოლო ჩუენ წარვიკითხავთ ოთხსახარებასა, ვითარცა მოსცემს განწევებად მთაწმიდებლთა სჯნაქსარისად“ (მინაწერი აშიაზე, 117).

**დიდსა ხუთშაბათსა.** დაწვრილებით არის მოცემული ამ დღის მსახურებათა განგება: ცისკარი, მწუხრი. ერის განტევების შემდეგ „გარეშე საუფლოთა ბქეთა ეკლესიისათა“ იდგმება „ფიალი წმიდისა საბანელისად“... დიდი კვერვექსი, ფერხობანვის ლოცვა, მღვდელი იწებს ფერხობანის სახარებას. „და წარმოდგეს წინამდგური და ჰყოფდეს ყოველსავე, ვითარცა იტყოდის სახარებად...“ (119). იწყოს მღდელმან „ბანად ფერჭებსა მმათასა, მეპარიოგან ვიდრე ჟკონომოსამდე და ეკლესიარხად, ათორმეტთა კაცთა“ (119). მათვის ფეხის დაბანის შემდეგ მღვდელი დასრულებს სახარების კითხვას, იტყვის ლოცვას.

ლოცვის დამთავრების შემდეგ მმები ეკლოგიად იცხებენ ფეხნაბან წყალს, შემდეგ გალობით „ზიარებითა საიდუმლოოთა“ შევლენ ეკლესიად, „მიეცემის უკუე მმათა განატეხიცა“. ქამისწირვის დასრულების შემდეგ, შევლენ სატრაპეზოში გალობით „აღგამაღლო შენ, ღმერთო ჩემო და მეუფეო ჩემო“... მიიღებენ ღვინოს და ზეთით მომზადებულ საკვებს, თევზს – არა (120).

წესი და განგებად წმიდათა უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესთად წმიდასა და დიდსა პარასკევსა. დამის მეორე ჟამზე ირეკება დამისა... ეკლესიარქი დაურიგებს მმებს სანთელს... პირველი ჟამი არ ილოცება ცისკართან ერთად. დღის პირველ ჟამზე ირეკება მცირე ზარი, მმები იკრიბებიან ეკლესიაში. მეშვიდე ჟამზე ასევე მცირე [ზარი] ირეკება, იოქმება მესამე ჟამის სამი ფსალმუნი. მეექვსე ჟამი ილოცება მესამესთან, მეცხრე – მეექვსესთან. მეათე ჟამზე ირეკება და იწება მწუხრი.

საყურადღებოა შენიშვნა: „სათანადო არს ცნობად, ვითარმედ არა გბეწავიეს პალესტინეს შინა წმიდასა ამას დღესა ქმნად განახლებისათ. არცა სრულისა ჟამისწირვისათ, არცა განდებათ ტრაპეზისათ. არცა რას გჭამთ ყოვლად რაითურთით. ხოლო უკუეთუ ვისმე ფრიადისა უძლურებისაგან ვერ ეძლოს ამისი ქმნათ, მიეცეს მას პური და წყალი შემდგომად მზისა

დასლვისა, რამეთუ ესრეთ მოგვდებიეს განწესებასა შინა წმიდათა მოციქულთასა“ (122). დიდ პარასკევს ისევ გვხვდება პალესტინური წესი, რომელიც არ უჩენს პირველშეწირულ წირვას („ქმნად განახლებისაა“), არც სრულ უამისწირვას, არც სატრაპეზოში შესვლას, არის მძიმე დღე და მძიმე მარხვა.

როგორც ზემოთ ვთქვით, „პალესტინესა შინა“ შეიძლება იყოს საბაწმიდური ტიპიკონი, მინაწერი აშიაზე კი გვეუბნება: „ხოლო ჩუენ სრულ-ფლეიტო განგებასა საღმრთოსა განახლებისასა, ვითარ-იგი სხუათაცა დღესა წმიდისა ამის შედეულისათა“ (122). შეიძლება გიორგი მთაწმიდლის სკაქსარის მიხედვით, საკუთარი ტრადიციით კიდევ სხვა, ჩვენთვის უცნობი ტიპიკონის საფუძველზე პირველშეწირულ წირვას გადაიხდიდნენ, მაგრამ იმარხულებდნენ, მხოლოდ ძალიან მოხუცებსა და ავადმყოფებს, ვისაც შეიძლება ვერ აეტანა შიმშილი, მზის ჩასვლის შემდეგ პურსა და წყალს მისცემდნენ, – ასე გვიწერია წმიდა მოციქულთა განწესებაშიო.

**დიდსა შაბათსა.** ცისკარი. „დიდებად მაღალთად გრძელად. და შეიმოსოს მღდელი სრულად“. მინაწერი აშიაზე: „ხოლო ჩუენსა პირველით დაწყებისთანავე შემოსილი დგას მღდელი საკურთხეველსა ზედა...“ (122). განსხვავებაა კიდევ ის, რომ მოგუმადლენთა, რომელსაც ტიპიკონის მირითადი ტექსტი კურთხევისა წინ უჩენს, „ჩუენ შემდგომად მიწყალისა გათქამს“ (მინაწერი აშიაზე. 123). ჟამებს მარტივად, კანონისა, გალობისა და მუხლოდრეკის გარეშე ილოცებდნენ.

**წმიდასა და დიდსა შაბათსა** (123). წწუხრი ირეკება დღის მეათე უამზე. აქ საინტერესოა რამდენიმე მომენტი:

1. მღდელი იმოსება თეოტრი სტიხოითა და შავი ფელონით, რომელსაც სამოციქულოს წაკითხვის შემდეგ, ალილუიას გალობისას ადსძარცვავენ და თეოტრს ჩააცმევენ. გალობისა და მათეს სახარების წაკითხვის შემდეგ მოჰყვება „შემდგომითი შემდგომად ჟამისწირვა“ წმიდისა ბასილისი“

2. გამოლოცვის შემდეგ მძებს ურიგდებათ განატეხი და პური და დვინო იკურთხება.

3. ეკლესიარქი აქაც უურადდებით უნდა იყოს, რომ ჟამისწირვა დამის მეორე უამისთვის დასრულდეს. გამოლოცვის შემდეგ ბერები სხედებიან მათვის განკუთვნილ ადგილებზე, პელარი ჩამოურიგებს პურის ნაჭერს, ოთხ-ოთხ ლედვის ჩირს და თითო კრასოვულ დვინოს.

4. გარკვეული მსახურების შემდეგ ყველანი გადიან შტოსა ეკლესიისასა. რჩება მხოლოდ კანდილაფტი, რომელიც აანთებს ყველა კანდელს.

5. წინამდღვარი არიგებს სანთელს.

6. მდდელი იმოსება მთლიანად თეთრით, უკმევს ძმათა, ამბობს დიდებას, და ოწებს: „ქრისტე აღდგა მკუდრეთით, სიკუდილითა სიკუდილი დათრგუნა და მყოფთა საფლავისათა ცხორებად მოანიჭა“. აღდგომის ამ საგალობელს აქვს მინაწერი აშიაზე: „ქრისტე აღდგა მკუდრეთით, სიკუდილითა სიკუდილისა დამთრგუნველი და საფლავისა შინათა ცხორების მომადლებელი“ (გვ. 124). ასე, სხვადასხვა ვარიანტით არსებობდა და შემდეგ ჩამოყალიბდა ახლანდელი ყოველმხრივ მშენებირი (ფორმით და შინაარსით) საგალობელი აღდგომისა, რომელიც ყველას გვიყვარს. საინტერესოა, კილოც თანდათან შეიძინა თუ თავდაპირველადვე ასე გალობდნენ...

გალობისა და ღვთისმსახურების შემდეგ მღვდელი სახარებით ხელში დადგება ადსავლის კართან. იგალობება ქრისტე აღსდგა, წინამდღვარი ამბორს უყოფს წმ. სახარებასა და მღვდელს, ასევე – თითოეული ძმა, წინამდღვარი წაიკითხავს ითანე თქრობირის საკითხავს. ამას მოსდევს რემარკა: „უწევებად ჯერ არს“, როგორ ილოცება ქამნი და სერობისა დიდი კვირიაკიდან ახალი კვირიაკის შაბათამდე (124).

განებად ზატიკისა. ცალკე სათაურად გატანილი არ არის. გვხვდება ტექსტში შემდგომ: „ოთხათშაბათსა შუა ზატიკისასა“ (129). კვირიაკესა მწუხრი ტიპიკონი უჩვენებს აღდგომის სამ სამარადისო სტიქარონს: „პირველ საუკუნეოთა... და ორთა მოყეასთა მისთა და სამთა აღმოსავლერთა. დიდებად და სხვად აღმოსავლერივ“ (125). „აღმოსავლერი“ აქ, სავარაუდოდ, მართლმადიდებლერს უნდა ნიშნავდეს.

წმიდა შვიდეულის ცისკარი, სამხარი და მწუხრი მოცემულია ორშაბათის მსახურებაში, და მითითებულია („სათანადო არს ცნობად“), რომ „ესრეთ ილოცების ცისკრისად ყოველთა დღეთა წმიდისა ამის შვეულისათა“ (125). შაბათის მწუხრი დამისთევითაა, ამ დღიდან იწყება და ყოველთა წმიდათა კვირიაკემდე მწუხრზე იკითხება საქმე მოციქულთა. „სამხრად ვიტყვთ ჩვეულებისაებრ ფსალმუნთა“ (127), ახლავს მინაწერი აშიაზე: „ხოლო ჩუქნ – კეთილ-არსთა, თჯსითა წესითა“. სამხარს მოსდევს კვირიაკისა მწუხრი განმარტებით, რომ „ესრეთ იქმნების წესი სამწუხროსა ლოცისად ყოველთავე პრიაკეთა

წმიდათა ერგასისთასა”. ხოლო დასდებელნი ოდენ უცვალებიან და ლიტანიისანი” (127).

**წესი ახალგვირიაკიდან ჯვართამაღლების შემდეგ პვირამდე.** ზატიკის მსახურებისაგან მოცემულია მსახურება მეორე შვიდეულის ორშაბათისა; აღვსებითგან მესამისა კპრიაკისა, წმიდათა მენელსაცხებლე დედათად და იოსებ მართლისად; აღვსებითგან მეორთხისა კვირიაკისა, საბანელსა შინა პროფეტიკისა მდებარისა მის განრდეულისა; ოთხშაბათისა შუაზატიკისა „უწყებად ჯერ-არს, ვითარმედ განგებად ესე განზოგებისად და წესი გალობისად რვა დღემდე გარდაიჭდების”; „ხოლო ჩუენ – ოთხ დღე ხოლო“ (მინაწერი აშიაზე, 129).

მეტეორისა კვირიაკისა სამარიტელისა; მეექვსისა კვირიაკისა შობითგან ბრძისა; სამშაბათისა მეექვსისა შვიდეულისა; ოთხშაბათისა მეექვსე შვიდეულისა; ხუთშაბათისა მეექვსე შვიდეულისა – აქ „სამხრად მომიკსენესა ზედა მესამე და მეექვსე გალობათა დასდებლების ნაცვლად მდვიმელნი იტყვიან კეთილ-არსთა“ (წარწერა აშიაზე, 131); მეშვიდისა კვირიაკისა, წმიდა 318 ნიკიელ მამათა; მეშვიდე პარასკევისა მწუხრი;

წმიდა მეერგასე კვირიაკისა, შაბათის მწუხრი დამისთევით; კვირიაკის მწუხრი ირგება ადრე, „განგებისათუს მუხლომოდრეკისა“ (133). მდგდელი იტყვის: „მერმეცა და მარადის მუკლომოდრეკით უფლისა მიმართ ვილოცოთ“; ძმანი მოიდრეკენ მუხლს, მდგდელი წაიკითხავს პირველ ლოცვას; შემდეგ ითქმება კვერექსი, ასამაღლებელი ლოცვისა, კვერექსი ხელგანპყრობით; ასამაღლებლის შემდეგ მდგდელი იტყვის: „მერმეცა და მარადის მუკლომოდრეკით უფლისა მიმართ ვილოცოთ“; წაიკითხავს მეორე ლოცვას, ისევ კვერექსი, ასამაღლებელი. ისევ იტყვის მდგდელი: „მერმეცა და მარადის მუკლომოდრეკით უფლისა მიმართ ვილოცოთ“; წაიკითხავს მესამე ლოცვას... ლოცვის შემდეგ: შეგვეწიენ... ყოვლადწმიდისად..., ასამაღლებელი ლოცვისა, კვერექსი...

**ორშაბათსა.** მეერგასის შემდეგ „ცისკრად ჩუელებისაებრ ფსალმუნება. გალობანი დღესასწაულისანი“... მინაწერი აშიაზე: „ცხად არს, ვითარმედ უქმნი, და სულისა წმიდისანი, ქმასა ც (ა), ორნივე ორ-ორჯერ (გვ. 134).

**პარასკევისა მწუხრი და კვირიაკესა ყოველთა წმიდათასა.** აქაც, შაბათსა მწუხრი იხსენიება დასდებელნი „აღმოსავლურნი სამნი“ (134). „აქებდითხა დასდებელნი აღდგომისანი ოთხნი, აღმოსავლური ერთი“ (როგორც ვვარაუდობთ, ეს მართლმადი-

დებლური საგალობელი უნდა იყოს). „სამხრად მომიხსენება ზედა დასდებელნი ჭმისანი და გალობათაგან ყოველთა წმიდათას“. აშიაზე: „ხოლო ჩუქა – კეთილ-არსოა“ (გვ. 135). ყოველთა წმიდათა კვირის შემდეგ იწყება მოციქულთა მარხვა. „შესწავებად საჭმარ არს“, რამდენჯერაც დაემთხვევა აღფლუა, ორშაბათს, ოთხშაბათს ან პარასკევს „მარხვასა დღედ ვილოცავთ და ერთგზის ვჭამთ, შემდგომად სამწუხროსა გამოლოცვისა. ხოლო ოდეს იყოს ღმერთი უფალი, ორგზის ვისერებთ დღესა შინა“ (135).

ტიპიკონში აგრეთვე შედის „განგებად შაბათთა ყოვლისა წელიწდისათავ, რომელთა შინა იყოს საკსენებელი საჩინოსა წმიდისად და იგალობებოდის ღმერთი უფალი“; „თანამდები ღმრთისა მიმართ წლითი-წლადი მადლობარ, რომელსა დღესა მიიღო ეკლესიამან ღმრთისამან გამოსაჩინებელი კეთილმსახურებისა შჯულთამ და დაქცევად სიბოროგისა ბოროგადმსახურებათავი“. გამოავლინენი: ოუეთანი სრულიად; ათერთმეტთა აღდგომისა საცისკროთა სახარებათანი; ყოველთა წმიდათანი; მარხვათანი. კონდაკი და ჟკოსნი; დამისოფუვასა შემდგომად ნეტარ-არიანთასა, ჭმად ც (ა) გუერდი; პუერექსი სავედრებელი; ქველიერისა ხეთშაბათსა წესენებად საპრეველთმოქმედისა წმ. მამისა შიომისი; იანვარსა თ (იდ) წმ. მოციქულისა ნინომისი; საგალობელნი ლირსისა მამისა შიომისი; დიდებასა ზედა, უფალო დაღატყავსა და სტიქარონთა ზედა, ვიეთჟსცა გიგმდეს მამათათგს; საჭმელთათგს და სასუმელთა; ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომდგინისათვის. ტიპიკონის ამ ნაწილს მინაწერები არ დაერთვის, ჩვენი ამ კვლევის სფეროში არ შემოდის და არ განვიხილავთ.

### ტიპიკონში დამოწმებულ ტერმინთა ლექსიკონი

აბარმადი – მონასტრის ერთ-ერთი ხელისუფალი; მ. თარხნიშვილი – გამგე, ეკონომოსი; ს. ყაუხხიშვილი – კელარი.

ავლინი – ეზო, კარ-მიდამო

ანაფორა – დიდი სეფისკვერი

აპოდიქსი – ხელწერილი

არგანი – ჯოხი, კვერთხი

ასამაღლებელი – ხმამაღლა წარმოსათქმელი ფრაზა საიდუმლო ლოცვის ბოლოს

აღება – აქ: დაწყება

აღვსებად – აღდგომა, იგივე დიდი კვირიაკე  
ახალი კვირა – თომას კვირა, აღდგომის სწორი  
ბაიობა – ბზობის კვირა

გამოლოცვა – განტევების ლოცვის წარმოთქმა (ამჟამად  
ზოგჯერ ჩამოლოცვას უწოდებენ)

განატეხი – ნაკვეთი სეფისკვერი

განახლებად – პირველშეწირულის ლიტურგია, სიწმიდის  
განახლება

განგებად – წესი, თანმიმდევრობა

განმგე – მმართველი, მნე, კონომოსი

განწესება – წესის დადება, განსაზღვრა, დადგენა

განგებად მუხლომოდრებისა – განგება, რომელიც სრულ-  
დება სულიწმიდის მოვენის დღეს, მწუხრის ლოცვაზე.

განზოგება – განახევრება (დიდმარხების, მაგალითად)

განკანონება – სასჯელის დადება სამონასტრო წესების  
მიხედვით

განტევება – გაშვება

განძარცუვა – გახდა, განშიშვლება

განჩინება – დაწესება, დაყენება, დადგინება, დანიშვნა

გპნად – ნელა

დაგება – საჭმელ-სასმლის მოტანა სუფრაზე

დაყენება – შეფერხება, შეჩერება, აკრძალვა

დაყუდება – განდეგილობა, განცალკევებით ცხოვრება

დოშიარი – მეგანძური

ეკვდერი, ეგუბერი, ეგტირი – მცირე სამლოცველო, მინა-  
შენი ეკლესიისა

ეკლესიარქი, ეკლესიარხი – დეკანოზი, მთავარი მღვდელი  
ეკლესიაში

ერგასი (ასის ნახევარი) – ორმოცდაათდღიანი პერიოდი  
აღდგომიდან სულიწმიდის მოვენამდე.

ვაჟინარი – დვინის მწდე, მევაჟინე

ზარიკი – დღესასწაული, ძირითადად, აღდგომა

ზედაშე – ზიარების შესამზადებლად საჭირო ღვინო

თვესება – ნათესაობა

იკონომოსი – მონასტრის სამეურნეო ნაწილის გამგე

დიდი იკონომოსი – ეპიტროპოსი

იპიტირიტი – მმათა ზედამსედველი

კათაკმეველი – მოსანათლად გამზადებული

კანანახი – „მგალობელთა დამძახელი“ (საბა); დამწყები მგალობელი, იგივე უჩვენებდა, რომელ ხმაზე უნდა ეგალობათ.

კანდელი – ზეთის სანაოური

კანდელაკი – მნათე, კანდელთა ამნთები, „კანდელაფტი“. შიომღვიმის მონასტერში ჰყავდათ კანდელაფტუხუცესიც.

კელარი – მექუჭნავე, სურსათის საწყობის გამგე, ოსტიგანი

კელაპტარი – მსხვილი სანოელი

კრასოვოლი, კრასოფული – ლვინის სასმისი, ჭიქასავით. გათხა

კრებული – მონასტრის ძირითადი შემადგენლობა

ლიტანია – რიტუალური მსვლელობა ეპლესის გარეთ (ახლა – ეპლესის შემოვლა) ლოცვითა და გალობით.

ლიტრა – საწყაოს ერთეული, დაახლოებით ერთი გირვანქა, 400 გრ, რაც საანგარიშო ერთეულად იყო შიჩნეული. კენტინარი – 100 ლიტრა.

ლოდარიას ქმნა – ანგარიშის მოთხოვნა

მამავა – წინამდგარი, მამასახლისი, იღუმენი მონასტრისა

მგბარი – მოხარულელი

მეერგასე – 50-ე დღე ადდგომიდან, სულთმოფენა

მეკარე – მონასტრის მოხელე, რომელსაც უვალება მონასტერში შემსვლელ-გამსვლელთა კონტროლი.

მემტილე – მებოსტნე, მებაღე

მემდვიმე – მდგომეში მჯდომი მონაზონი

მემკრე – მედავითნე-მგალობელი, ვინც მკარეზე დგას

მეტრაპეზე – ტრაპეზის, სუფრის გამგებელი

მეფესალმუნე – ფსალმუნთა მგალობელი

მეცნიერი – მცოდნე

მეჭურჭლე – განძეულობის მცველი, მნე

მნე – მოურავი, განმგებელი

მორეწა – შოვნა, შეძინება

მოსენაკეობა – განკერძოებით ცხოვრება, ცალკე სენაკში; მოსენაკ („იოანესა და ეფთზემს ცხოვრება“).

მოქალაქობა – ცხოვრება, ყოფაქცევა, მოღვაწეობა

მოქმედი – მუშაკი, მუშა, ხელოსანი

მრჩობელი – ორმაგი, ორკეცი

მსგავსი – შვიდეული, ერთი კვირა. ამჟამად უწოდებენ იმ კვირასაც, როცა ოთხშაბათ-პარასკევი ხსნილია.

მსოფლიად – ადრე

მტილი – ბალი, ბოსტანი

მწუხერისად – მწუხერის ანუ იმ ჟამის ლოცვა, როდესაც  
იწუხება („იჭუხება“, „იხუჭება“) დღე.

მცნება – შეტყობინება, გაგებინება, ბრძანება, დარიგება

მჯარე – ამბიონის ორივე მხარეს მედავითნემბალობელთა  
დასადგომელი შემოსაზღვრული ადგილი, ამ ადგილს „მჯარე“  
(კლიროსი) ეწოდება.

ოთხთავი – სახარება

პაქსიმადი – გამხმარი პური, ორცხობილა

პირველი დიაკონთა – დიაკონთა შორის წარჩინებული

პირ-ჯხნა – ჭამა

ჟამისწირვა – ლიტურგია, საღმრთო მსხვერპლის შეწირვა.  
არის წმ. იოანე ოქროპირის, წმ. ბასილი დიდისა და პირველ-  
შეწირულისა (იხ.განახლება).

ჟამობა – გალობა, წირვა

საბანელი – ფეხთბანის ჭურჭელი დიდი ხუთშაბათის მსა-  
ხურებისთვის.

საზრდელი – საკეთი, სარჩო

სათუეო – „ოვენი“, საღვთისმსახურო პიმნოგრაფიული  
კრებული, რომელშიც მოცემულია მთელი წლის ყოველი დღის  
უძრავი დღესასწაულების საკითხაგ-საგალობლები.

სამხარი – შუადღე, ჟამი მსხვერპლის შეწირვისა (ლიტურ-  
გიისა)

სატრაპეზო – სასადილო; მეტრაპეზე, ტრაპეზარი – ვინც  
ტრაპეზის საქმეს განაგებს, მონასტრის სასადილოს გამზე.

საფსალმუნე – ფსალმუნთა წასაკითხი მაღალი ადგილი

საჭურჭლე – საღიაკონე, რომელშიც ინახება სიწმიდის  
სამსახურებელი ჭურჭელი

სახიერება – სიკეთე

საჭმარი – გამოსაყენებელი ნივთი, ქონება: მოსახმარისი,  
სახარჯო

სიყვარული – ადაპი, სადღესასწაულო სადილი

სკაქსარი – საღვთისმსახურო კრებული, რომელიც შეი-  
ცავს მთელი წლის უძრავი და მოძრავი დღესასწაულების სა-  
კითხაგ-საგალობლებს, წმიდათა შემოკლებულ ცხოვრება-წამე-  
ბას.

სულმოკლე – ვერამტანი, აჩქარებული; უკეთური

ტრაპეზი – სასადილო მაგიდა, სუფრა, ტაბლა

უმგბარი – ნედლი, უხარშავი, უმი

უდალი – მაგარი, მყარი, გაუვალი

უხუება – უშურველობა, უხვობა; სიუხვე  
 უჯერო – უმსგავსი, უდირსი, ურიგო  
 ფილონი – მდვრდლის სამოსელი  
 ქსენადუქი – სასტუმრო, ქსენადოში პეტრიწონის ტიპიკონში  
 ქსენონი – საავადმყოფო, თავშესაფარი  
 ყოველთა წმიდათა პირიაკე – სულთმოფენის შემდეგი  
 ქვირა  
 შემგბარი – მოხარული  
 შტო – სტოა, ტაძრის უკანა ნაწილი ან მინაშენი  
 შუაზატიკი – ერგასის 25-ე დღე, ოთხშაბათი  
 ჩაფლად – ქალამანი  
 ჩოტად – ჩოხა, ბერის სამოსელი  
 ცხედარი – ტახტი, საწოლი, საკაცე  
 ძალი – სასწაული; ძალა; სიმი; დღესასწაულის წინა დღე;  
 წარგზავნა – გაგზავნა; გაცილება  
 წარსაგებელი – ხარჯი, დასახარჯავი  
 წარუვალი – მუდმივი, მარადიული  
 წდევა – დასხმა  
 წრფელი – სწორი, მართალი  
 წევევა – მოწოდება, მოწვევა  
 წელად – მოწველა; მონაწველი, რძის პროდუქტი  
 წუთდა – ცოტა ხანს; ჯერ, ჯერ კიდევ  
 წურთა – სწავლა, დასჯა, წრთვნა  
 ჭირისა კანონი – მე-17 კანონი, 118-ე ფსალმუნი  
 ჭურჭენა – ფურჩენა, ფურჭენა, ზედმეტი ფოთლებისა და  
 ყლორტების მოცლა (მაგალითად, ვაზისა).  
 ჭამლი – ვეხსაცმელი  
 ჭამს – საჭიროა  
 ჭნდური – მსხვილი ცერცვი, ლობიო  
 ჭუმევა – გამოყენება, ხმარება  
 ხორო – მგალობელთა გუნდი  
 ჯოჯვა (აჯოჯვა) – ვაზის შტოების მოტეხა-ჩამოცლა  
 ჯუარობად – ჯვრის ამაღლების დღესასწაული, 14 (27)  
 სექტემბერს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ტიპიკონი, 2005: ტიპიკონი შიომდგიმის მონასტრისა. XII საუკუნის ხელნაწერის ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ექ-

ვთიმე კოჭლამაზაშვილმა და ელგუჯა გიუნაშვილმა. გამოცემა შიომღვიმის მონასტრისა, თბილისი, 2005.

2. ძეგლები, 1971: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III (მეტაფრასული რედაქციები, XI-XIII სს.). დასაბეჭდად მოამზადეს იღ. აბულაძემ, ე. გაბიძაშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, გ. კიკნაძემ და ც. ქურციკიძემ იღია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. გამოცემლობა „მეცნიერება”, თბილისი, 1971.

3. კვავლიძე, 1980: კორნელი კვავლიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. თბილისი, 1980.

4. ვ. სილოგავა, 2003: ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაუროო ვ. სილოგავამ. საქართველოს ისტორიის წყაროები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამოცემლობა „ნეკერი”, თბილისი, 2003.

5. საბინინი, 1882: საქართველოს სამოთხე, სრული აღწერად ლუაწლო და ვნებათა საქართულოს წმიდათა. შეკრუბილი სრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურლის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლის ძის საბინინის მიერ. პეტერბურდი, ჩყპბ (1882) წელსა.

6. გიორგი მთაწმიდელი, დიდი სკნაქსარი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და სამეცნიერო აპარატი დაურთეს მ. დოლაქიძემ და დ. ჩიტუნაშვილმა. თბილისი, 2017.